განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

___1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შეასრულა ისტორიული მისია: 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩაატარა საყოველთაო რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რეფერენდუმის შედეგების (საქართველოს მთელი მოსახლეობის 98,9%-ის თანხმობის)) საფუძველზე, ამავე წლის 9 აპრილს მიიღო `საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ და გამოაცხადა საქართველოს მოსახლეობის ნება - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე საართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, აღიდგინა ისტორიული მისია მსოფლიო ცივილიზაციაში, როგორც დამოუკიდებელმა და თავისუფალმა სახელმწიფომ და დაიმკვიდრა ტერიტორიული მთლიანობის გარანტია; ამ აქტმა ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი უზენაესი საბჭოს წევრები ათეული წლების განმავლობაში აღმოჩნდნენ დევნილ მდგომარეობაში. ისინი დღემდე არ არიან დაფასებულნი ისე, როგორც ეს მათ ღირსებას შეეფერება, ხოლო მათი გარკვეული ნაწილი იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით და რეპრესირებული იყო 1991-1992 წლებში სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლების მიერ, რაც დადასტურებულ იქნა, პირველ რიგში, საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილისა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებებით, აგრეთვე, 2005-2006 წლებში მიღებული მრავალი სასამართლო გადაწყვეტილებით, უზენაესი საბჭოს ზოგიერთი წევრი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რაც ადამიანის უფლებათა დამცველი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაშიც არის აღნიშნული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს ენიჭებათ გარკვეული უპირატესობები საქართველოს ისტორიის წინაშე მათ მიერ შესრულებული მისიის განსაკუთრებულობის გამო.

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერთა სტატუსის შესახებ, ანალოგიური კანონი, ბალტიისპირეთის ქვეყნებში მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1999-2000 წლებში (ლატვია - 1999 წ., ესტონეთი - 2000 წ., ლიტვა - 200 3 წ.).

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წინამდებარე კანონის მიღებით თანამედროვე საქართველოში აღდგება და საფუძველი ჩაეყრება, ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი აწმყოსი და მომავლის განმსაზღვრელ შემოქმედთა ღვაწლის ღირსეულ დაფასებას, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს მომავალ თაობებში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, საქართველოს თითოეულ მოქალაქეში სამართლიანობის აღდგენის განცდას და ეროვნული თანხმობის მიღწევას. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება უზენაესი საბჭოს წევრების ეკონომიური მდგომარეობა

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებისათვის სპეციალური სახელმწიფო პენსიის დანიშვნას, რომლის ოდენობა შეადგენს პარლამენტის მოქმედი წევრის თანამდებობრივი სარგოს ტოლფას თანხას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას, კერძოდ: ამჟამად ყოველთვიურ სახელმწიფო კომპენსაციას - 560 ლარს იღებს უზენაესი საბჭოს 155 წევრი. პარლამენტის წევრის ყოველთვიური სარგო შეადგენს 2000 ლარს, ანუ, უზენაესი საბჭოს 155 წევრს 560 ლართან ერთად დამატებით უნდა დაერიცხოს 1440, რაც ჯამში წლიურად შეადგენს 2 678 400 ლარს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღებას ექნება მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე.